

შპს „ვანის სათბურები“

სნ 204574479

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

1. ძირითადი საქმიანობა -----	2
2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა -----	2
3. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	11
4. მოგება–ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	12
5. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება -----	13
6. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება -----	14
7. ახსნა–განმარტებითი შენიშვნები -----	15
8. სხვა ინფორმაცია -----	19

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „ვანის სათბურები“ დაარსდა 2009 წლის 22 ოქტომბერს შპს „ბი ენდ ბი პროვიზენსი“-ს მიერ (100% წილის მფლობელი), ქალაქ თბილისში. იურიდიული პირი „ვანის სათბურები“ შექმნილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რომლის საფირმო სახელწოდებაა „გრატოს სათბურები“.

იურიდიული მისამართი : ლარსის ქ. #2, ქ. თბილისი, საქართველო

ფაქტობრივი მისამართი: ჩანტლადის ქ. #1, ქ. თბილისი, საქართველო

მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი : 204574479

დირექტორი: ვალერიან ტოგონიძე

შპს „ვანის სათბურები“-ს ძირითადი საქმიანობა მოიცავს ერთწლიანი მცენარეებით საცალო ვაჭრობა. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ბრუნვის უდედესი წილი მოდის იმპორტირებული მცენარეების გაყიდვაზე, რომელთა რეალიზაცია ხდება მოკლევადიან პერიოდში სახეშეუცვლელად, ხოლო მარაგების დაახლოებით 35% არის კომპანიის მიერ წარმოებული (წარმოების პროცესი მოიცავს : თესვებიდან და დაუფესვინებელი ჩითილებიდან სასაქონლო სახის მიცემას).

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 919 040 ლარს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 4 ადამიანი.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ელემენტები აღრიცხულია კომპანიის საოპერაციო ეკონომიკური გარემოს პირველად ვალუტაში („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა ლარი. ყველა თანხა უახლოეს ათასამდეა დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალს აკლდება საქონლის დაბრუნების, ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი შეღავათების სავარაუდო ღირებულება.

საქონლის რეალიზაცია

საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება საქონლის მიწოდებისა და მასზე უფლებების გადაცემის შემდეგ, ყველა ჩამოთვლილი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანია აღარ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ხარისხის მენეჯერულ მონაწილეობას ან მასზე ეფექტურ კონტროლს;
- შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება კომპანია; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

უცხოური ვალუტა

კომპანიის წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკუროსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვება

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთა ან/და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება-შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში მათი გაწევის დროს.

მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. ამ დროს მათ სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას. მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შესყიდვასთან პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

კომპანიის ფინანსურ აქტივებს ძირითადად შეადგენს ფული და ფულის ექვივალენტები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც სესხები და მოთხოვნები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ტრანზაქციის ხარჯების, სხვა პრემიუმებისა და ფასდათმობების და იმ გადახდილი ან მისაღები საკომისიოებისა და ქულების დისკონტირებას, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისგან განსხვავებული სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოგება აღიარდება ეფექტური პროცენტის საფუძველზე.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები (მათ შორის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ბალანსები ბანკებში და ნაღდი ფული) აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები, გარდა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისა, გაუფასურებაზე მოწმდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი, ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ინვესტიციებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემოდინებაზე.

ფინანსური აქტივების ზოგიერთი კატეგორიის შემთხვევაში, როგორცაა სავაჭრო მოთხოვნები, აქტივები გაუფასურებაზე მოწმდება ჯგუფურად მაშინაც კი, თუ ინდივიდუალურად შეფასებისას დადგინდა, რომ გაუფასურებული არ არის. მოთხოვნების

პორტფელის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება იყოს კომპანიის წარსულ გამოცდილებას გადახდების აკრეფასთან დაკავშირებით, 60 დღიანი საშუალო საკრედიტო პერიოდზე მეტით დაგვიანებული გადახდების რიცხვის ზრდას, ან ქვეყნის ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების დაკვირვებად ცვლილებებს, რომლებიც შესაბამისობაშია მოთხოვნებზე არსებულ დეფოლტთან.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის აღიარებული ოდენობა წარმოადგენს სხვაობას აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივის მიმდინარე საბაზრო უკუგების განაკვეთით დისკონტირებული მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ამგვარი გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდებში არ აღდგება.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას გაუფასურების დანაკარგები პირდაპირ აკლდება, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა. ამ შემთხვევაში საბალანსო ღირებულება მცირდება ანარიცხების ანგარიშის მეშვეობით. როდესაც სავაჭრო მოთხოვნის ამოღება შეუძლებლად ითვლება, იგი ჩამოიწერება ანარიცხების ანგარიშის გამოყენებით. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა აისახება ანარიცხების ანგარიშზე. გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების ანგარიშის ცვლილება აისახება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ გაუფასურების ხარჯი შემდგომ პერიოდში შემცირდა და ეს კლება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება ადრე აღრიცხული გაუფასურების ხარჯის გაუქმება მოგება-ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემდეგ არ აჭარბებდეს ამორტიზებულ ღირებულებას გაუფასურების აღიარების გარეშე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. თუ კომპანიამ მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და

სარგებელი არც სხვა მხარეს გადასცა და არც შეინარჩუნა და კვლავაც აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, კომპანია აღიარებს მასში შენარჩუნებულ წილს და მასთან დაკავშირებულ, თანხების გადახდის პოტენციურ ვალდებულებას. თუ კომპანიამ შეინარჩუნა ფინანსური აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ის განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და აგრეთვე აღიარებს აღებული უზრუნველყოფილი სესხებიდან მიღებულ შემოსავალს.

ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტისას, სხვაობა, ერთი მხრივ, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი კუმულატიური მოგებისა ან ზარალისა და მიღებული და მისაღები ანაზღაურების ჯამს შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების არასრულად შეწყვეტისას (მაგალითად, როდესაც კომპანია ინარჩუნებს გადაცემული აქტივის ნაწილის გამოსყიდვის უფლებას), კომპანია ფინანსური აქტივის წინა საბალანსო ღირებულებას ანაწილებს კვლავაც აღიარებულ ნაწილსა და აღიარების გარეშე დარჩენილ ნაწილს შორის გადაცემის დღეს ამ ნაწილების ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების გათვალისწინებით. სხვაობა, ერთი მხრივ, აღიარების გარეშე დარჩენილ ნაწილზე მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, ამავე ნაწილში მიღებული ანაზღაურებისა და მასზე მიკუთვნებულ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ კუმულატიური მოგებასა თუ ზარალის ჯამს შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულატიური მოგება ან ზარალი აღიარება შენარჩუნებულ და აღიარების გარეშე დარჩენილ ნაწილებს შორის ნაწილდება მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების გათვალისწინებით.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად

კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ასევე ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა აღიარდება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში. კომპანიის საკუთარი ინსტრუმენტების შესყიდვაზე, გაყიდვაზე, გამოშვებასა თუ გაუქმებაზე მოგება-ზარალში არაფერი აღირიცხება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებს და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები, ნასესხები სახსრებისა და სავაჭრო და სხვა გადასახდელების ჩათვლით, თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. შემდგომში ისინი აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სამართლებრივი დავები

ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში კომპანია იღებს მოთხოვნებს კლიენტებისა და კონტრაგენტებისგან. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ გათვალისწინებულა.

რეალური ღირებულების განსაზღვრა

ხელმძღვანელობის აზრით, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათ სამართლიან ღირებულებასთანაა მიახლოებული, მათი მოკლევადიანი პირობებიდან გამომდინარე.

კაპიტალის მართვა

კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით. 2016-2023 წლების განმავლობაში კომპანიას ჰქონდა აღებული სესხები, შესაბამისად კომპანიის საქმიანობა სრულად დაფინანსებულია სასესხო ვალდებულებებით.

ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

შპს "ვანის სათბურები"			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
(ლარში)			
	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1 375 665	1 456 677
არამატერიალური აქტივები	4	236	279
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 375 901	1 456 956
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	-	67 854
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	28 313	36 809
გადახდილი ავანსები	8	11 234	12 565
ბიოლოგიური აქტივი		-	-
მარაგები	9	91 268	198 980
სხვა მიმდინარე აქტივები		5 763	2 988
სულ მოკლევადიანი აქტივები		136 578	319 196
სულ აქტივები		1 512 479	1 776 152
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		919 040	919 040
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(5 591 001)	(5 216 581)
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		(4 671 961)	(4 297 541)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	5 159 725	5 059 977
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5 159 725	5 059 977
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	2 882	20 559
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	1 021 832	984 807
საგადასახადო ვალდებულებები	12		-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	-	8 350
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 024 714	1 013 716
სულ ვალდებულებები		6 184 440	6 073 693
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1 512 479	1 776 152
დირექტორი:	მთავარი ბუღალტერი:		

შპს "ვანის სათბურები"			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
(ლარში)			
	შენიშვნა	2023	2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1 456 677	1 538 137
არამატერიალური აქტივები	4	279	329
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 456 956	1 538 466
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	67 854	65 297
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	36 809	36 688
გადახდილი ავანსები	8	12 565	10 818
ბიოლოგიური აქტივი			
მარაგები	9	198 980	378 992
სხვა მიმდინარე აქტივები		2 988	1 792
სულ მოკლევადიანი აქტივები		319 196	493 587
სულ აქტივები		1 776 152	2 032 053
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		919 040	919 040
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(5 216 581)	(4 701 668)
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		(4 297 541)	(3 782 628)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	5 059 977	4 822 351
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5 059 977	4 822 351
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	20 559	48 080
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	984 807	929 139
საგადასახადო ვალდებულებები	12	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	8 350	15 111
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 013 716	992 330
სულ ვალდებულებები		6 073 693	5 814 681
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1 776 152	2 032 053

დირექტორი:

Handwritten signature



მთავარი ბუღალტერი:

Handwritten signature



შპს "ვანის სათბურები"			
მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის დასრულებული წლისათვის (ლარში)			
	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	13	219 574	815 747
თვითღირებულება	14	(136 988)	(411 318)
საერთო მოგება		82 586	404 429
სხვა შემოსავლები			
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(270 876)	(482 925)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	16	(5 070)	(42 318)
სხვა ხარჯები	17	(29 469)	(58 133)
საოპერაციო მოგება		(222 829)	(178 948)
ფინანსური შემოსავალი			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხა	18	(1 068)	9 234
ფინანსური ხარჯი	19	(150 523)	(345 199)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება			
მოგება დაბეგვრამდე		(374 420)	(514 913)
მოგების გადასახადი	20		-
წმინდა მოგება		(374 420)	(514 913)
სხვა სრული შემოსავალი:			
გადაფასების რეზერვი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(374 420)	(514 913)
დირექტორი:		მთავარი ბუღალტერი:	

**მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის
დასრულებული წლისათვის
(ლარში)**

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	<u>13</u>	815 747	937 517
თვითღირებულება	<u>14</u>	(411 318)	(463 791)
საერთო მოგება		404 429	473 726
სხვა შემოსავლები			
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>15</u>	(482 925)	(586 407)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	<u>16</u>	(42 318)	(37 469)
სხვა ხარჯები	<u>17</u>	(58 133)	(85 719)
საოპერაციო მოგება		(178 948)	(235 869)
ფინანსური შემოსავალი			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხა	<u>18</u>	9 234	89 585
ფინანსური ხარჯი	<u>19</u>	(345 199)	(285 803)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება			
მოგება დაბეგვრამდე		(514 913)	(432 087)
მოგების გადასახადი	<u>20</u>		(486)
წმინდა მოგება		(514 913)	(432 573)
სხვა სრული შემოსავალი:			
გადაფასების რეზერვი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(514 913)	(432 573)
დირექტორი:		მთავარი ბუღალტერი:	
			



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
შპს ვანის სათბურები

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებე ლი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 01 იანვარი	919 040	-	(4 701 668)	(3 782 628)
წმინდა მოგება	-	-	(514 913)	(514 913)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(514 913)	(514 913)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	919 040	-	(5 216 581)	(4 297 541)
წმინდა მოგება	-	-	(374 420)	(374 420)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(374 420)	(374 420)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	919 040	-	(5 591 001)	(4 671 961)

დირექტორი:

გ. მახარაძე

მთ.ბუღალტერი:

ნ. ძამამია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
შპს ვანის სათბურები

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებე ლი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 01 იანვარი	919 040	-	(4 269 095)	(3 350 055)
წმინდა მოგება	-	-	(432 573)	(432 573)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(432 573)	(432 573)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	919 040	-	(4 701 668)	(3 782 628)
წმინდა მოგება	-	-	(514 913)	(514 913)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(514 913)	(514 913)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	919 040	-	(5 216 581)	(4 297 541)

დირექტორი:

ვ. პახიძე

გ. მახარაძე

მთ.ბუღალტერი:

გ. მამაძე

ნ. მამაძე



ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
შპს ვანის სათბურები

ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	2024	2023
საქონლის გაყიდვა და მომსახურების გაწევა	240 751	856 267
როიალტი, ჰონორარი, საკომისიო და სხვა შემოსავლები	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი სახსრები	(143 984)	(500 607)
გადახდილი ხელფასები	(51 786)	(137 660)
გადახდილი გადასახადები	(53 337)	(180 323)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(8 356)	37 677
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(127 059)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
სხვა საწარმოს წილის შეძენა	-	-
გაცემული სესხიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	-
მიღებული პროცენტი	-	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	21 414	137 231
არამატერიალური აქტივების რეალიზაცია	-	-
სხვა საწარმოს წილის რეალიზაცია	-	-
გაცემული სესხი	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	21 414	10 172
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-
სესხების მიღება	376 091	331 764
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-
სესხების დაფარვა	(452 184)	(363 567)
გადახდილი პროცენტი	(3 719)	(22 748)
გადახდილი დივიდენდი	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(79 812)	(54 551)
წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება	(66 754)	(6 702)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(1 100)	9 260
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	67 854	65 296
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	0	67 854

დირექტორი:

გ. მახარაძე

მთ.ბუღალტერი:

ნ. ძაძამია

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
შპს ვანის სათბურები

ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	2023	2022
საქონლის გაყიდვა და მომსახურების გაწევა	856 267	1 185 524
როიალტი, ჰონორარი, საკომისიო და სხვა შემოსავლები	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი სახსრები	(500 607)	(698 482)
გადახდილი ხელფასები	(137 660)	(182 325)
გადახდილი გადასახადები	(180 323)	(234 414)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	37 677	70 303
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(127 059)	(11 883)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
სხვა საწარმოს წილის შეძენა	-	-
გაცემული სესხიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	-
მიღებული პროცენტი	-	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	137 231	3 800
არამატერიალური აქტივების რეალიზაცია	-	-
სხვა საწარმოს წილის რეალიზაცია	-	-
გაცემული სესხი	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	10 172	(8 083)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-
სესხების მიღება	331 764	49 040
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-
სესხების დაფარვა	(363 567)	(101 726)
გადახდილი პროცენტი	(22 748)	(42 485)
გადახდილი დივიდენდი	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(54 551)	(95 171)
წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება	(6 702)	(32 951)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	9 260	(13 261)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	65 296	111 508
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	67 854	65 296

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:

ვ. პატი

გელა



გ. მახარაძე

ნ. ძაძაძია

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 3

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

შპს ვანის სათბურები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	დამთავრე ბელი მშენებლობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა არამატერიალური აქტივები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სულ
ისტორიული ღირებულება	-	2 619 417	-	6 464	1 466	161 458	2 788 805
პერიოდის ცვეტა	-	(1 116 095)	-	(6 464)	(1 137)	(125 935)	(1 249 632)
წმინდა საბალანსო ღირებულება							-
01 იანვარი 2023	-	1 503 322	-	(0)	329	35 523	1 539 173
შემოსვლა	-	-	-	-	-	-	-
პერიოდის ცვეტა	-	(75 166)	-	-	(50)	(7 002)	(82 218)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2023	-	1 428 156	-	(0)	279	28 521	1 456 955
შემოსვლა	-	-	-	-	-	-	-
პერიოდის ცვეტა	-	(71 408)	-	-	(43)	(4 853)	(76 303)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	(4 751)	(4 751)
წმინდა საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	-	1 356 748	-	(0)	236	18 917	1 375 901

შენიშვნა-6 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში		31.12.2024	31.12.2023
ფული სალაროში		-	8 089
ფული საბანკო ანგარიშებზე		-	59 765
		-	67 854
შენიშვნა-7	სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		
		31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები		22 137	30 633
მისაღები პროცენტები		745	745
სხვა მოთხოვნები		5 431	5 431
		28 313	36 809

შენიშვნა-8	გადახდილი ავანსები			
			31.12.2024	31.12.2023
	მომწოდებელთან გადახდილი ავანსები		10 768	12 099
	სხვა ავანსები		466	466
			11 234	12 565
შენიშვნა-9	მარაგები			
	ლარში		31.12.2024	31.12.2023
	მზა პროდუქცია		77 754	-
	ნედლეული			-
	დაუმთავრებელი წარმოება			-
	საქონელი			163 316
	სხვა მარაგები		13 514	35 664
			91 268	198 980
შენიშვნა-10	სესხები		31.12.2024	31.12.2023
	გრძელვადიანი არასაბანკო სესხი		2 417 616	2 460 072
	გრძელვადიან სესხზე დარიცხული პროცენტი		2 742 110	2 599 905
	მოკლევადიანი არასაბანკო საბანკო სესხი			-
	მოკლევადიანი საბანკო სესხი		2 882	20 559
	მოკლევადიან სესხზე დარიცხული პროცენტი			
			5 162 608	5 080 536

შენიშვნა-12	სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები			
	ლარში		31.12.2024	31.12.2023
	ვალდებულება მომწოდებლებთან		993 076	957 700
	ვალდებულება ანგარიშვალდებულ პირთან		-	-
	გადასახდელი ხელფასები		-	8 350
	საგადასახადო ვალდებულება		-	-
	საპენსიო ფონდის ვალდებულება		21 721	19 802
	სხვა ვალდებულებები		7 035	7 305
			1 021 832	993 157

შენიშვნა-13 ამონაგები

ლარი	31.12.2024	31.12.2023
საქონლის რეალიზაცია	208 493	804 396
ნედლეულის რეალიზაცია		-
მომსახურების რეალიზაცია	11 081	11 351
	219 574	815 747

შენიშვნა-14 თვითღირებულება

ლარი	31.12.2024	31.12.2023
გასული ძირითადი საშუალების ნარჩენი ღირებულება		
გასული საქონლის თვითღირებულება	136 988	411 318
ჩამოწერილი საქონლის თვითღირებულება		
მომსახურების თვითღირებულება		
	136 988	411 318

შენიშვნა-16 მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

	31.12.2024	31.12.2023
სარეკლამო ხარჯები	340	11 841
საწვავის ხარჯი	1 673	3 416
ავტომობილის შეკეთ.ხარჯი		14 124
რეალიზაციის დანახარჯები		17 866
	2 013	47 245

შენიშვნა-17 სხვა ხარჯები

ლარი	31.12.2024	31.12.2023
დებიტორული დავ. რეზერვის ხარჯი		-
საკანცელარიო ხარჯი		-
საპენსიო ფონდის ხარჯი	958	3 408
ქონების გადასახადი	14 156	21 957
რემონტის ხარჯი	2 559	4 387
სათბურისთვის დამხმარე აქსესუარ.ხარჯ	357	5 973
სხვა ხარჯი	11 439	22 408
	29 469	58 133

შენიშვნა-15 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31.12.2024	31.12.2023
შრომის ანაზღაურება	55 150	182 511
ცვეთა და ამორტიზაცია	76 303	82 221
წილის მართვის საფასური	50 000	50 000
ხელფასთან გათანაბრებული ხარჯი	422	3 029
ბანკის მომსახურება	1 794	5 845
ა/მანქანის ექსპლუატაციის ხარჯი	-	4 927
იჯარის ხარჯი	18 000	19 100
მივლინების ხარჯები	-	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	2 870	4 809
კომუნიკაციის ხარჯები	486	776
კომუნალური ხარჯი	35 572	74 466
ჩამოწერილი ვადაგასული საქონლის თვითღ.	30 279	55 241
	270 876	353 218

შენიშვნა-19 ფინანსური ხარჯი

ლარი	31.12.2024	31.12.2023
ბანკის სესხის პროცენტი	2 999	6 346
დაკავშირებული მხარის სესხის პროცენტი	143 026	269 555
სხვა ფინანსური ხარჯები	4 498	69 298
	150 523	345 199

შენიშვნა-20 მოგების გადასახადის ხარჯი

ლარი	31.12.2024	31.12.2023
მიმდინარე მოგების ხარჯი	-	-
	-	-

სხვა ინფორმაცია

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს ვანის სათბურების ხელმძღვანელობა. თანდართული ინფორმაცია მოიცავს :

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საფუძვლების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი საღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამოები და დარღვევები.

2023-2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ორგანიზაციის ხელმძღვანელების მიერ და ხელმოწერილია

დირექტორი: გ. მახარაძე

მთ. ბუღალტერი: ნ.ძამამია

სხვა ინფორმაცია

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს ვანის სათბურების ხელმძღვანელობა. თანდართული ინფორმაცია მოიცავს :

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საფუძვლების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი საღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამოებები და დარღვევები.

2022-2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ორგანიზაციის ხელმძღვანელების მიერ და ხელმოწერილია

ვ. მახარაძე

დირექტორი: გ. მახარაძე

ნ. მაძამია

მთ. ბუღალტერი: ნ. მაძამია

